ბრძანება:**ბ47.47221401**

თარიღი:**20/05/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 27 მაისს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბრის N12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.2. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი:თეა უჯმაჯურიძე

1.3. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

მომხსენებელი:თეა უჯმაჯურიძე

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:გია გიორგაძე

1.5.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:თეა მამალაძე

1.6. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21

დეკემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი:ლევან ჩხიკვაძე

1.7. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: თამარ აბალაძე

1.8. დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 66.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.134) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.9. ინფორმაცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვისა და ხარჯვის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი